საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის

ბრძანება №2-101

2020 წლის 3 თებერვალი

ქ. თბილისი

„საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჰიდრომელიორაციისა და მიწის მართვის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 17 მაისის №2-357 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჰიდრომელიორაციისა და მიწის მართვის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 17 მაისის №2-357 ბრძანებაში (ვებგვერდი, 18/05/2018, სარეგისტრაციო კოდი 360160000.22.023.016504) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჰიდრომელიორაციისა და მიწის მართვის დეპარტამენტის დებულების“:

1. მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. დეპარტამენტის ფუნქციები და ამოცანები

დეპარტამენტის ძირითადი ფუნქციები და ამოცანებია:

ა) ჰიდრომელიორაციის დარგის პოლიტიკისა და საკანონმდებლო ბაზის შემუშავება და განხორციელების მონიტორინგი;

ბ) კომპეტენციის ფარგლებში, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფონდის მართვის და მიწათსარგებლობის პოლიტიკისა და საკანონმდებლო ბაზის შემუშავებასა და განხორციელებაში მონაწილეობა;

გ) კომპეტენციის ფარგლებში, მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის პოლიტიკისა და საკანონმდებლო ბაზის შემუშავებასა და განხორციელებაში მონაწილეობა;

დ) ჰიდრომელიორაციის დარგში მართვის გაუმჯობესების მიზნით, შესაბამის ღონისძიებათა დაგეგმვა და განხორციელების კოორდინაცია;

ე) კომპეტენციის ფარგლებში, სასოფლო-სამეურნეო მიწის ფონდის მართვის და მიწათსარგებლობის გაუმჯობესების მიზნით, შესაბამის ღონისძიებათა დაგეგმვა და განხორციელების კოორდინაცია;

ვ) მიწის რესურსების ბუნებრივი და ანთროპოგენურ ფაქტორების ზემოქმედებისგან დაცვის მექანიზმების განსაზღვრა და განხორციელების კოორდინაცია;

ზ) გაუდაბნოებისა და მიწის დეგრადაციის პროცესის შემარბილებელი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელების კოორდინაცია;

თ) ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მართვის რეგულირება და კოორდინაცია;

ი) კომპეტენციის ფარგლებში, მიწების საკუთრების უფლებით, იჯარით ან სხვა ფორმით გაცემაზე

წინადადებების მომზადება;

კ) წყალმომხმარებელთა ორგანიზაციის დაფუძნებისა და განვითარების ხელშეწყობა;

ლ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება“.

2. მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ“ ქვეპუნქტი:

„გ) მიწის რესურსების დაცვის სამმართველო.“.

3. მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5. სამმართველოების კომპეტენციები

1. ჰიდრომელიორაციის სამმართველოს კომპეტენციაა:

ა) ჰიდრომელიორაციის დარგის პოლიტიკისა და საკანონმდებლო ბაზის შემუშავება და განხორციელების მონიტორინგი;

ბ) ჰიდრომელიორაციის დარგში არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება, ანალიზი და მათი გადაჭრის გზების განსაზღვრა;

გ) ჰიდრომელიორაციის დარგში პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტების (მათ შორის, დარგობრივი კონცეფციების, პროგრამების, სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების) მომზადება, განხორციელების კოორდინაცია/მონიტორინგი და მიღწეული შედეგების შეფასება;

დ) ქვეყნის სტრატეგიულ დოკუმენტებში, ჰიდრომელიორაციის დარგთან დაკავშირებულ საკითხებზე შესაბამისი ნაწილის მომზადება;

ე) ადგილობრივი საჭიროებების, საერთაშორისო გამოცდილებისა და თანამედროვე მიდგომების გათვალისწინებით, ჰიდრომელიორაციის სისტემის გაუმჯობესების ხელშემწყობი წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება, მიზნობრივი პროგრამების/პროექტების ინიცირება, დაგეგმვა და მათი განხორციელების კოორდინაცია;

ვ) ჰიდრომელიორაციის დარგში მართვის სისტემების, მონაცემთა ანალიზისა და ინფორმაციის გაცვლის ეფექტიანი და ინოვაციური საშუალებების დანერგვის ხელშეწყობა;

ზ) ჰიდრომელიორაციის პოლიტიკის ეფექტიანი განხორციელების მიზნით, შპს „საქართველოს მელიორაციასთან“ თანამშრომლობა;

თ) წყალმომხმარებელთა ორგანიზაციის დაფუძნებისა და განვითარების ხელშეწყობა;

ი) წყალმომხმარებელთა ორგანიზაციების შესახებ რეესტრის წარმოება;

კ) წყალმომხმარებელთა ორგანიზაციების საქმიანობის კონტროლში მონაწილეობა;

ლ) კომპეტენციის ფარგლებში წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება, სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებაში მონაწილეობა;

მ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

2. მიწათსარგებლობის სამმართველოს კომპეტენციაა:

ა) კომპეტენციის ფარგლებში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფონდის მართვის და მიწათსარგებლობის პოლიტიკისა და საკანონმდებლო ბაზის შემუშავებასა და განხორციელებაში მონაწილეობა;

ბ) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფონდის მართვის და მიწათსარგებლობის მიმართულებით ქვეყანაში არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება, ანალიზი და მათი გადაჭრის გზების განსაზღვრა;

გ) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფონდის მართვის და მიწათსარგებლობის მიმართულებით პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტების (მათ შორის, დარგობრივი კონცეფციების, პროგრამების, სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების) მომზადება, განხორციელების კოორდინაცია/მონიტორინგი და მიღწეული შედეგების შეფასება;

დ) ქვეყნის სტრატეგიულ დოკუმენტებში, კომპეტენციის ფარგლებში, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფონდის მართვასთან და მიწათსარგებლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე შესაბამისი ნაწილის მომზადება;

ე) ადგილობრივი საჭიროებების, საერთაშორისო გამოცდილებისა და თანამედროვე მიდგომების გათვალისწინებით, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფონდის რაციონალურად გამოყენებისთვის წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება, მიზნობრივი პროგრამების/პროექტების ინიცირება, დაგეგმვა და მათი განხორციელების კოორდინაცია;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფონდის მართვის სისტემების, მონაცემთა ანალიზისა და ინფორმაციის გაცვლის ეფექტიანი და ინოვაციური საშუალებების დანერგვის ხელშეწყობა;

ზ) კომპეტენციის ფარგლებში, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების საკუთრების უფლებით, იჯარით ან სხვა ფორმით გაცემაზე წინადადებების მომზადება;

თ) მიწის კონსოლიდაციის ხელშემწყობი ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელების კოორდინაციაში მონაწილეობა;

ი) სამინისტროში შემავალი სტრუქტურული ქვედანაყოფების მოთხოვნის შესაბამისად, მიწათსარგებლობასთან დაკავშირებული თემატური რუკების მომზადება;

კ) კომპეტენციის ფარგლებში, წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება, სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებაში მონაწილეობა;

ლ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

3. მიწის რესურსების დაცვის სამმართველოს კომპეტენციაა:

ა) კომპეტენციის ფარგლებში, მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის პოლიტიკისა და საკანონმდებლო ბაზის შემუშავებასა და განხორციელებაში მონაწილეობა;

ბ) მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის მიმართულებით პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტების (მათ შორის, დარგობრივი კონცეფციების, პროგრამების, სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების) მომზადება, განხორციელების კოორდინაცია/მონიტორინგი და მიღწეული შედეგების შეფასება;

გ) ქვეყნის სტრატეგიულ დოკუმენტებში, კომპეტენციის ფარგლებში, მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენებასა და დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე შესაბამისი ნაწილის მომზადება;

დ) გაუდაბნოებისა და მიწის დეგრადაციის პროცესის შემარბილებელი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელების კოორდინაცია;

ე) ნიადაგების დაბინძურებაზე, ხარისხობრივ მაჩვენებლებზე, ასევე ნიადაგებზე გვალვის, ეროზიისა და სხვა ექსტრემალური მოვლენების გავლენებზე დაკვირვების შედეგების მიღება, გაანალიზება და შესაბამისი წინადადების მომზადება;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში, ნიადაგების წერტილოვანი დაბინძურების შედეგების გაანალიზება და დაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვაში მონაწილეობა;

ზ) ნიადაგის დეგრადაციისა და დაბინძურების ინდიკატორების განსაზღვრა;

თ) ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნასთან, შენახვასა და გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების კოორდინაცია;

ი) ნიადაგის რეკულტივაციის პროექტების/გეგმების განხილვა, შეთანხმება და შემდგომი რეაგირება;

კ) მიწის ბუნებრივ რესურსზე დამაგრების შესახებ ინფორმაციის მომზადება, კომპეტენციის ფარგლებში მიწების საკუთრების უფლებით, იჯარით ან სხვა ფორმით გაცემაზე წინადადებების მომზადება;

ლ) სასარგებლო წიაღისეულის მარაგების სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის მუშაობაში მონაწილეობა;

მ) კომპეტენციის ფარგლებში მრავალმხრივი გარემოსდაცვითი ხელშეკრულებებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებაში მონაწილეობა;

ნ) შესაბამისი მრავალმხრივი გარემოსდაცვითი ხელშეკრულების სამდივნოსგან მიღებული ინფორმაციის გაანალიზება და ვალიდაცია. საქართველოს მიწის დაფარულობის, მიწის პროდუქტიულობისა და ნიადაგში ნახშირბადის შემცველობის შესახებ ინფორმაციის მომზადება;

ო) მიწის რესურსების დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე, საზოგადოების ინფორმირებასა და ცნობიერების ამაღლებაში მონაწილეობა;

პ) კომპეტენციის ფარგლებში წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება, სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებაში მონაწილეობა;

ჟ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის მინისტრი **ლევან დავითაშვილი**